

## წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები

### 1. გათამაშების პერიოდი და თარიღი:

- 1.1. გათამაშება ჩატარდება 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 1.2. გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება გათამაშების პერიოდში ყოველდღიურად, ხოლო გათამაშების ბოლოს, 31 დეკემბერს, მოხდება სუპერ პრიზების გათამაშება.
- 1.3. გათამაშება იქნება სისტემურ-ელექტრონული ტიპის.
- 1.4. სუპერ პრიზის გათამაშება მოხდება 2016 წლის 31 დეკემბერს 20 საათსა და 16 წუთზე.
- 1.5. მოხდება თიბისი ბანკის ვებ საიტზე ([www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)) ონლაინ გათამაშების ჩატარება საიდანაც გამოვლინდება 2 სუპერ პრიზის მფლობელი.

### 2. გათამაშებაში მონაწილეები/მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობა:

- 2.1. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი პირები;
- 2.2. გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებენ სს თიბისი ბანკის თანამშრომლები და ბანკის ინსაიდერები;
- 2.3. ელექტრონულ-სისტემურ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ და სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთების დაგროვებას შეძლებენ თიბისი ბანკის კლიენტები, რომლებიც გათამაშების პერიოდში დარეგისტრირდებიან ან უკვე რეგისტრირებულნი არიან ინტერნეტ ან მობაილბანკის სერვისზე;
- 2.4. სულ კლიენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ 4 ტიპის გათამაშების ბილეთი:
  - ✓ ტრანზაქციის შესრულებისთვის
  - ✓ პროდუქტის შეძენისთვის
  - ✓ Welcome ბილეთები
  - ✓ პრიზად მოგებული (მომენტალურ გათამაშებაში პრიზად მოგებული)

### ბილეთები ტრანზაქციის შესრულებისთვის

- 2.5. კლიენტი ტრანზაქციის შესრულებისას ინტერნეტ და მობაილბანკით აგროვებს გათამაშების ბილეთებს:
  - ინტერნეტბანკით შესრულებულ ტრანზაქციაზე კლიენტი აგროვებს გათამაშების 1 ბილეთს
  - მობაილბანკით - გათამაშების 2 ბილეთს.
- 2.6. ტრანზაქციით შესრულებისთვის ბილეთების დაგროვება შესაძლებელია 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.
- 2.7. კლიენტს კალენდარული თვის განმავლობაში ტრანზაქციების შესრულების გზით შესაძლებლობა აქვს დააგროვოს მაქსიმუმ 30 გათამაშების ბილეთი,
- 2.8. ტრანზაქციის შესრულებად ითვლება შემდეგი ტიპის ოპერაციები:
  - პირად ანგარიშებს შორის გადარიცხვა / კონვერტაცია (აქ შედის საკრედიტო ბარათზე და განვადების ბარათზე თანხის გადატანაც)
  - ბანკის შიგნით გადარიცხვები (ნებისმიერ ვალუტაში)
  - ბანკის გარეთ გადარიცხვები (ნებისმიერ ვალუტაში)
  - 323 გადარიცხვები
  - მობილურის შევსება
  - კომუნალური და სხვა ტიპის გადახდები (მაგ. usa2georgia)
  - ჯარიმების გადახდა
  - საბიუჯეტო გადარიცხვები
- 2.9. ტრანზაქციით შესრულებისას დაგროვილი ბილეთების გარდა კლიენტი იღებს ასევე მომენტალურ გათამაშებაში მონაწილეობას. ანუ როგორც კი ტრანზაქციას შეასრულებს

მიიღებს სმს შეტყობინებას, სადაც იქნება ინფორმაცია მომენტალური მოგება ან არმოგების შესახებ და ჯამში დაგროვებული ბილეთების რაოდენობა, რომლებიც სუპერპრიზის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

- 2.10. ტრანზაქციის შესრულებაზე დაგროვილი ბილეთები კლიენტს დაერიცხება მომენტალურად, ტრანზაქციის განხორციელებისთანავე.

#### **ბილეთები პროდუქტების შეძენისთვის**

- 2.11. კლიენტი ინტერნეტ და მობაილბანკით პროდუქტების შეძენაზე აგროვებს გათამაშების ბილეთებს:

- ინტერნეტბანკით პროდუქტის შეძენაზე კლიენტი აგროვებს გათამაშების 10 ბილეთს
- მობაილბანკით შეძენაზე - 20 ბილეთს

- 2.12. პროდუქტების შეძენაზე ბილეთების დაგროვება შესაძლებელია 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით.

- 2.13. კლიენტს პროდუქტების შეძენის გზით კალენდარული თვის განმავლობაში შესაძლებლობა აქვს დააგროვოს მაქსიმუმ 30 გათამაშების ბილეთი.

- 2.14. პროდუქტის შეძენად ითვლება შემდეგი ტიპის პროდუქტები:

- ანაბრები (ჩემი მიზანი, ვადიანი, ჩემი სეიფი)
- წინასწარ დამტკიცებული სესხები
- საკრედიტო ბარათები
- საკრედიტო ბარათებზე ლიმიტის ზრდა
- ახალი სადებეტო ბარათები და არსებული ბარათების განახლება

- 2.15. ინტერნეტ ან მობაილბანკით საბანკო პროდუქტის შეძენაზე კლიენტი იღებს სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთებს, რომლებიც მომენტალურ გათამაშებაში ვერ იღებს მონაწილეობას.

- 2.16. პროდუქტების შეძენისთვის განკუთვნილი ბილეთები კლიენტს დაერიცხება არაუგვიანეს შეძენიდან 10 დღის განმავლობაში. (20 დეკემბრის შემდეგ ვინც აიღებს არ დაერიცხება ბილეთები)

#### **Welcome ბილეთები**

- 2.17. კლიენტს გადაეცემა 10 Welcome ბილეთი იმისთვის, რომ ის გათამაშებამდე არ იყო ინტერნეტ და მობაილბანკის აქტიური მომხმარებელი და გათამაშების პერიოდში გახდა მომხმარებელი;

- 2.18. Welcome ბილეთები შესაძლებელია მიიღოს ყველა იმ კლიენტმა, რომლებიც არ შესულან ინტერნეტ ან მობაილბანკში 2016 წლის სექტემბრის განმავლობაში.

- 2.19. Welcome ბილეთების მისაღებად საჭიროა გათამაშების პერიოდში: 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით შევიდეს ინტერნეტ ან მობაილბანკში მინიმუმ ერთხელ მაინც.

- 2.20. Welcome ბილეთები მონაწილეობას იღებს მხოლოდ სუპერ პრიზის გათამაშებაში და არ იღებს მონაწილეობას მომენტალურ მოგებაში.

- 2.21. Welcome ბილეთები კლიენტს დაერიცხება გათამაშების პერიოდში მხოლოდ ერთხელ, მის მიერ Welcome ბილეთების მიღების პირობის შესრულებიდან არაუგვიანეს 1 დღის განმავლობაში.

#### **პრიზად მოგებული ბილეთები**

- 2.22. ინტერნეტ და მობაილბანკით ტრანზაქციების შესრულებისთვის კლიენტი ღებულობს ბილეთებს, რომლებიც გარდა იმისა, რომ სუპერპრიზის გათამაშებაში ღებულობს მონაწილეობას, ასევე მომენტალური მოგების შესაძლებლობას აძლევს კლიენტს.

- 2.23. მომენტალურ მოგებებში არის როგორც ფულადი პრიზები, ასევე სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთები, რომელიც იღებს მონაწილეობას 31 დეკემბერს. მომენტალურ გათამაშებაში სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთების მოგების შანსი მომხმარებელს აქვს 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით

- 2.24. მომენტალურ მოგებაში პრიზად მოგებული ბილეთები კლიენტს დაერიცხება მოგებისთანავე.
- 2.25. პრიზად მოგებული ბილეთების გათამაშებაში კლიენტს დაერიცხება დამატებითი სუპერპრიზის გათამაშების ბილეთი.

**საერთო დებულებები ოთხივე კატეგორიის ბილეთებისთვის**

- 2.26. თუ გათამაშების განმავლობაში კლიენტი დახურავს ყველა ანგარიშს და აღარ იქნება თიბისის აქტიური კლიენტი, მის მიერ დაგროვილი ბილეთები აღარ მიიღებს გათამაშების ბოლოს სუპერ პრიზების გათამაშებაში მონაწილეობას.
- 2.27. თუ კლიენტი ერთი თვე იყო აქტიური და შეასრულა ოპერაცია, რომლითაც დააგროვა გათამაშების ბილეთ(ებ)ი, ხოლო მე-2 თვეს კლიენტმა დახურა საბანკო პროდუქტები და შესაბამისად ინტერნეტ და მობაილბანკითაც არააქტიური გახდა და ბოლო თვეს ისევ თიბისის ბანკის კლიენტი გახდა, მის მიერ დაგროვილი ბილეთები მიიღებს სუპერ პრიზის გათამაშებაში მონაწილეობას;
- 2.28. დასაშვებია, რომ მომენტალური გათამაშების შემთხვევაში ერთი და იგივე კლიენტი აღმოჩნდეს რამდენჯერმე გამარჯვებული.
- 2.29. სუპერ პრიზის გათამაშების შემთხვევაში დაუშვებელი იქნება ერთი და იგივე კლიენტმა მოიგოს ორი სუპერ პრიზი.

**3. წამახალისებელი გათამაშების პრიზები**

- 3.1. ოქტომბრის თვეში გათამაშდება 220,653 პრიზი, საიდანაც 653 პრიზი იქნება ფულადი პრიზი, ხოლო დანარჩენი სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთები.
- 3.2. ფულადი პრიზების და სუპერ პრიზის ბილეთების გათამაშება მოხდება ოქტომბრის თვის განმავლობაში შემთხვევითობის პრინციპით.
- 3.3. ნოემბრის თვეში გათამაშდება 220,653 პრიზი, საიდანაც 653 პრიზი იქნება ფულადი პრიზი, ხოლო დანარჩენი სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთები.
- 3.4. ფულადი პრიზების და სუპერ პრიზის ბილეთების გათამაშება მოხდება ნოემბრის თვის განმავლობაში შემთხვევითობის პრინციპით.
- 3.5. დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით გათამაშდება 220,600 პრიზი, საიდანაც 600 იქნება ფულადი პრიზი, ხოლო დანარჩენი სუპერ პრიზის ბილეთები
- 3.6. ფულადი პრიზების და სუპერ პრიზის ბილეთების გათამაშება მოხდება ნოემბრის თვის განმავლობაში შემთხვევითობის პრინციპით.
- 3.7. 31 დეკემბერს გათამაშდება 2 სუპერ პრიზი:
  - ✓ ბინა გუდაურში
  - ✓ მოგზაურობა ევროპის ნებისმიერი მიმართულებით

**მომენტალური და სუპერ პრიზის გათამაშების ლოგიკა**

- 3.8. მომენტალური გათამაშების ლოგიკა დაფუძნებული იქნება ალბათობის პრინციპზე .
  - თითოეულ შესრულებულ ტრანზაქციას ენიჭება Random რიცხვი - ათწილადი 0-დან 1-მდე, Microsoft .NET Framework Random Class -ის NextDouble() მეთოდის გამოყენებით (მაგ.: 0.15110115341427800).
  - თითოეული ტრანზაქციისთვის ითვლება ე.წ. P რიცხვი:  $p_{t,k}^2 = \min\left(\frac{s_2-k}{T_2-t+1}, 1\right)$  სადაც:
    - $T_2 = 86,400$  არის დღეში წამების რაოდენობა
    - t - გათამაშების წამი (ივლება 1-დან T-მდე)
    - $s_2$  - პერიოდში გასათამაშებელი პრიზების რაოდენობა
    - k - t მომენტისთვის გათამაშებული პრიზების რაოდენობა
  - მოგებულია ის ტრანზაქცია რომლის Random რიცხვი ნაკლებია P რიცხვზე.
  - მოგებული ტრანზაქციისთვის საჩუქრის მიმაგრება ხდება დარჩენილი საჩუქრებიდან ერთის ამორჩევით (იმავე Random კლასის საშუალებით), შემდეგნაირად:

მოგების მომენტისთვის ყველა დარჩენილი საჩუქარი გადაინომრება  
 Next(Int32, Int32) მეთოდი აირჩევს ერთ ნომერს

- 3.9. სუპერ პრიზის გათამაშების ლოგიკა დაფუძნებული იქნება შემდეგ პრინციპზე
- ყველა დაგროვილი ბილეთი იქნება გადანომრილი
  - სუპერ პრიზის პირველი და მეორე გამარჯვებული რიგ-რიგობით გამოვლინდება Random კლასის Next(Int32, Int32) მეთოდის საშუალებით, რომელიც აირჩევს მოგებულ კლიენტის ნომერს (პირველი მოგებული კლიენტი მეორედაც ვერ გახდება მოგებული).
4. **გათამაშების პროცედურა:**
- 4.1. მომენტალური მოგების შემთხვევაში მოგებული კლიენტს მიუვა სმს შეტყობინება. თუ კლიენტს წაეშლება სმს ან ვერ მიიღო სმს შეტყობინება, შესაძლებლობა იქნება ქოლ ცენტრში დარეკვა ნომერზე 2 272727 ან თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში მისვლა და კლიენტზე მოგების გადამოწმება.
  - 4.2. სუპერ პრიზების მოგების შემთხვევაში, თიბისი ბანკის მიერ მოხდება კლიენტთან ტელეფონით დაკავშირება ასევე კლიენტს გაეგზავნება ინტერნეტ და მობაილბანკით მოგების შეტყობინება და თიბისი ბანკის ვებ გვერდზე განთავსდება მოგებულთა სია სახელი, გვარი, მობილური ნომერი ბოლო 3 ციფრით დაფარული
  - 4.3. მოგების გაცემა მოხდება გათამაშებიდან 30 კალენდარულ დღეში. მოგება უნდა გაიცეს გამარჯვებული კლიენტის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარულ დღეში.
  - 4.4. გათამაშებიდან 6 კალენდარული დღის განმავლობაში მოხდება მოგებულთან დაკავშირება ტელეფონით და მისი დაბარება მოგებული პრიზის გადასაცემად. თუ დაკავშირება ტელეფონით ვერ მოხერხდა, მოგებულს გაეგზავნება შეტყობინება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით და ასევე თიბისი ბანკის ვებ გვერდზე განთავსდება მოგებულთა სია სახელი, გვარი, მობილური ნომერი ბოლო 3 ციფრით დაფარული
  - 4.5. ფულადი პრიზების მოგების შემთხვევაში კლიენტს ჩაერიცხება მის მოქმედ საბანკო ანგარიშზე მოგებული თანხა არაუგვიანეს 6 კალენდარული დღისა.
  - 4.6. სუპერ პრიზის - ბინის გადაცემა კლიენტისთვის მოხდება ქ.თბილისი მარჯანიშვილის 7 ნომერში პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე.
  - 4.7. სუპერ პრიზის - საგზურის მოგების შემთხვევაში კლიენტი საჭიროა წავიდეს მისთვის სასურველ ტურისტულ კომპანიაში, დაჯავშნოს სასტუმრო და გზის ბილეთები და ინვოისი წარადგინოს ელექტრონული ფორმით თიბისიში, რომლის საფუძველზეც მოხდება თანხის ჩარიცხვა.
  - 4.8. იმ შემთხვევაში, თუ სუპერ პრიზის მფლობელი კლიენტი არ იმყოფება საქართველოში დასაშვები იქნება, მინდობილობის საბუთის საფუძველზე გადაეცეს მის მინდობილ პირს მოგებული პრიზი.
  - 4.9. თუ კლიენტი გათამაშების დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადდება საჩუქრების წასაღებად, მოხდება საჩუქრის გაუქმება.
  - 4.10. დეტალური მაგალითი1  
**ოქტომბრის თვეში** კლიენტი შევიდა ინტერნეტბანკში - აღნიშნული კლიენტი არ იყო აქტიური სექტემბერში შესაბამისად ქონდა დარიცხული 10 welcome ბილეთი, რომელიც გაიაქტიურა შესვლით და ასევე განახორციელა შემდეგი ტრანზაქციები:

ინტერნეტბანკში შევიდა	10 ბილეთი ( welcome)
ინტერნეტბანკით შეასრულა 7 ტრანზაქცია, საიდანაც 5 ჯერ მოიგო სუპერ პრიზის გათამაშების ბილეთი ჯამში 25 ცალი	7+ 25 ბილეთი = 32 ბილეთი

მობაილბანკით შეასრულა 10 ტრანზაქცია და მომენტალურ გათამაშებაში მოიგო 5 ბილეთი	$20 + 5 = 25$
<b>სულ სუპერ პრიზისთვის ოქტომბერში დააგროვა</b>	<b>67 ბილეთი</b> $67$ ბილეთი $\text{თ} = 10+32+25$

4.11. დეტალური მაგალითი 2

ნოემბრის თვეში კლიენტმა შეასრულა შემდეგი ტრანზაქციები:

ინტერნეტბანკით შეასრულა 20 ტრანზაქცია, საიდანაც მოიგო 2-ჯერ ფულადი პრიზი	20 ბილეთი
მობაილბანკით შეასრულა 10 ტრანზაქცია, საიდანაც ვერაფერი მოიგო მომენტალურ გათამაშებაში	20 ბილეთი
<b>სულ სუპერ პრიზისთვის ნოემბერში დააგროვა</b>	<b>30 გათამაშების ბილეთი</b> (გათამაშების პირობების თანახმად ტრანზაქციებზე შესაძლებელია თვეში მაქსიმუმ 30 ბილეთის დაგროვება)

4.1. დეტალური მაგალითი 3

დეკემბრის თვეში კლიენტმა შეასრულა შემდეგი ქმედებები:

ინტერნეტბანკით შეიძინა 4 საბანკო პროდუქტი	30 ბილეთი (გათამაშების პირობების თანახმად პროდუქტის შეძენაზე შესაძლებელია თვეში მაქსიმუმ 30 ბილეთის დაგროვება)
მობაილბანკით შეასრულა 10 ტრანზაქცია და მოიგო 20 გათამაშების ბილეთი	$20 + 20 = 40$
<b>სულ სუპერ პრიზისთვის დააგროვა</b>	<b><math>40+30=70</math></b>

ჯამში აღნიშნულ კლიენტს სუპერ პრიზის გათამაშებაში დაუგროვდა 167 ბილეთი :

- ოქტომბერში - 67
- ნოემბერში - 30
- დეკემბერში - 70

5. პრეტენზიების წარდგენა:

- 5.1. გათამაშებასთან დაკავშირებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით.
- 5.2. პრეტენზიის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე [www.tbcbank.com.ge](http://www.tbcbank.com.ge).

- 5.3. კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან.
- 5.4. პრეტენზიას განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური.
- 5.5. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა).
- 5.6. პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის ინტერნეტ-გვერზე [www.tcbank.com.ge](http://www.tcbank.com.ge) და ტელეფონის ნომერზე: 227 27 27.